პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 165 (3142) 25 1966 წ. აგვისტო. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 28-ე წელი



## სსრ კავშირის პირველობა

### „ა" ლიგა I ჯგუფი

**გათამაშების ცხრილი**

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 25 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 22 | 15 | 6 | 1 | 46—8 | 36 |
| ცსკა | 20 | 11 | 6 | 3 | 45—26 | 28 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 21 | 11 | 6 | 4 | 31—23 | 28 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 23 | 10 | 7 | 6 | 36—24 | 27 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 20 | 7 | 11 | 2 | 19—13 | 25 |
| ასკ (როსტოვი) | 21 | 12 | 1 | 8 | 33—33 | 25 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 21 | 9 | 5 | 7 | 32—22 | 23 |
| „დინამო" (თბილისი) | 21 | 7 | 7 | 7 | 23—21 | 21 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 19 | 9 | 3 | 7 | 20—20 | 21 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 22 | 8 | 5 | 9 | 29—35 | 21 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 21 | 7 | 6 | 8 | 25—18 | 20 |
| „დინამო" (მინსკი) | 21 | 6 | 8 | 7 | 22—25 | 20 |
| „არარატი" (ერევანი) | 22 | 6 | 7 | 9 | 16—29 | 19 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 22 | 5 | 8 | 9 | 20—28 | 18 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 19 | 7 | 3 | 9 | 17—23 | 17 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 21 | 6 | 4 | 11 | 28—39 | 16 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 21 | 3 | 9 | 9 | 15—29 | 15 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 20 | 4 | 2 | 14 | 15—32 | 10 |
| ასკ (ოდესა) | 21 | 1 | 6 | 14 | 11—35 | 8 |

**მოსკოვი, 24 აგვისტო.** დღეს აქ გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი. ადგილობრივმა „ლოკომოტივმა" მიიღო კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი". შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

### „ა" ლიგა II ჯგუფი

მორიგი ტურის მატჩები ასე დამთავრდა: „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „დინამო" (ტალინი) 2:1, „დინამო" (კიროვაბადი) — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) 1:0, „თერგი" (გროზნო) — „როსტსელმაში" (როსტოვი) 1:3, „შირაკი" (ლენინაკანი) — „სპარტაკი" (გომელი) 2:0, „დინამო" (სტავროპოლი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 1:1, „დაუგავა" (რიგა) — „რუბინი" (ყაზანი) 1:2.

### „ბ" კლასი IV ზონა

გუშინ გაიმართა მორიგი ტურის მატჩები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

#### გორიდან...

ადგილობრივმა „დილამ" აშკარა წარუმატებლობით ჩაატარა რამდენიმე გასვლითი მატჩი და ახლა თავის მინდორზე მიიღო ზონის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი — ნოვოროსიისკის „ცემენტი".

სტუმრებმა ლიდერის სტილში დაიწყეს თამაში და პირველივე წუთებზე ზედიზედ შექმნეს რამდენიმე მეტად სახიფათო მომენტი. დიდი ჯაფა დააწვა „დილის" დაცვას, მეკარე მერაბიშვილს მოუხდა ძნელი ბურთების აღება.

იგრძნეს რა დაცვითი ხაზების ძლიერი თამაში, სრული ძალით ამოქმედდნენ მასპინძელთა თავდამსხმელებიც და თამაშმა თანდათან მინდვრის შუაგულში გადაინაცვლა, ხოლო ტაიმის დასასრულს დაცვაზე ფიქრი უკვე „ცემენტს" მოუხდა.

გორელთა უპირატესობა შესამჩნევი შეიქნა მეორე ტაიმში. ჯერ რევაზიშვილმა და ჯანელიძემ ვერ გამოიყენეს კარგი შესაძლებლობანი, ხოლო მე-20 წუთზე ახალგაზრდა მარღიშვილმა დაკარგა გოლის გატანის აშკარა შანსი.

მატჩის ბედი გადაწყდა 25-ე წუთზე. „ცემენტის" კარში მიმავალი ბურთი ხელით გააჩერა ერთ-ერთმა მცველმა, მსაჯმა დანიშნა პენალტი და ბურჯანაძემ ზუსტად გამოიყენა იგი. გაიმარჯვა „დილამ" — 1:0.

**გ. გოზალიშვილი.**

#### რუსთავიდან...

„მეტალურგმა" რატომღაც დუნედ დაიწყო თამაში მაიკოპის „უროჟაისთან". მართალია, მან შექმნა მეტოქის კარის აღების რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ მასპინძლები როგორღაც უნიათოდ მოქმედებდნენ.

შედარებით გამოცოცხლდა თამაში შესვენების შემდეგ 48-ე წუთზე ანთიძემ ძლიერად დაარტყა, უროჟაელთა მეკარემ ვერ გააჩერა ბურთი ხელში და გეგეჭკორიშვილმა ბადეში გაგზავნა იგი — 1:0.

გოლს, თითქოს, მეტი დამაჯერებლობა უნდა შეეტანა მასპინძლებში, რომლებსაც დროზე უნდა ეფიქრათ გამარჯვების განმტკიცებისათვის. მაგრამ მოხდა ისე, რომ ძათშა მცველმა გალოიანმა მე-60 წუთზე ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი და კარი ნაღდი გოლისაგან იხსნა. მხოლოდ მატჩის დასასრულს აიღეს რუსთაველებმა ხელთ ინიციატივა და ზედიზედ რამდენიმე მწვავე მომენტი შექმნეს მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, თუმცა არც ერთ მათგანს შედეგი არ მოჰყოლია.

„მეტალურგი" დასჯერდა მოკრძალებულ ანგარიშს — 1:0.

**რ. გაბრიჭიძე.**

#### 4:0, 0:1

კიდევ ორი მატჩი შედგა ჩვენი რესპუბლიკის სტადიონებზე. გურჯაანის „ალაზანმა" მიიღო ელისტის „ურალანი" და დაამარცხა იგი ანგარიშით 4:0, ხოლო ტყიბულის „მეშახტემ" საკუთარ მინდორზე წააგო კრიმსკის „უროჟაისთან" — 0:1.

* * *

წინა ტურის ანგარიშებში, რომელიც საკდესმა მოგვაწოდა, დაშვებული იყო შეცდომა: რუსთავის „მეტალურგი" დამარცხდა კრიმსკის „უროჟაისთან" (0:1) და არა პირიქით, როგორც ეს იყო გამოქვეყნებული.





გალინა პროზუმენშჩიკოვას სახელი საქვეყნოდაა ცნობილი. მან ყველაზე დიდი გამარჯვება ჯერ კიდევ ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში მოიპოვა, როცა ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა. შემდეგ ბევრ საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებაში ისახელა თავი. და აი, გალინამ უტრეხტში გამართულ ევროპის ჩემპიონატში ერთხელ კიდევ გაასოცა სპორტის ამ სახეობის სპეციალისტები: ბრასის სტილით 200-მეტრიან დისტანციაზე აჩვენა 2.40,8 და ჩემპიონის სახელის მოპოვებასთან ერთად მსოფლიო რეკორდიც დაამყარა.

წარმატება ხვდა წილად მეორე საბჭოთა მოცურავე ა. დუნაევსაც. იგი ვერცხლის პრიზიორი გახდა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში. მისი დრო — 4.48,7 — ახალი საკავშირო რეკორდია.

**სურათებზე:** გ. პროზუმენშჩიკოვა და ა. დუნაევი.

ფოტო ვ. გალაკტიონოვისა და საკდესისა.

## პირველი მატჩი

**რეიკიავიკი. 23 აგვისტო.** ისლანდიის დედაქალაქში გაიმართა ფეხბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველი მატჩი. ნაკლებად ცნობილმა ადგილობრივმა კლუბმა „ვალიურმა" ფრედ ითამაშა ბელგიის „სტანდარდთან" — 1:1. საპასუხო შეხვედრა გაიმართება ლიეჟში. მაშინ გამოირკვევა გუნდი, რომელიც წინასწარი ტურიდან მერვედფინალში მოხვდება, სადაც შეხვდება კვიპროსის „აპოლონს".

## 0:0, 4:4 და, ბოლოს, გამარჯვება

**ხარკოვი, 23 აგვისტო.** სამივე ეშელონში (I-VIII, IX-XVI და XVII-XXIV ადგილები) დღეს ერთდროულად დაიწყო მეოთხედფინალური მატჩები „ტყავის ბურთის" პრიზზე.

უძლიერესთა ჯგუფში ცენტრალური შეხვედრა ადგილობრივი „ფაკელისა" და თბილისის „დელისის" მატჩი იყო. თამაშის დასასრულს ტაბლოზე ნოლები ჩანდა.

წესის თანახმად, მსაჯმა მეტოქეთა კარში 5-5 რვამეტრიანი დარტყმა დანიშნა. ამანაც საყაიმო ანგარიში მოგვცა — 4:4. ეს პროცედურა გამეორდა და მხოლოდ ამის შემდეგ გაიმარჯვეს საქართველოს ჭაბუკებმა.

I-VIII ადგილებისთვის მებრძოლი გუნდების დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ანი" (ერევანი) — „ვენტი" (ლატვია) 2:0, „ზარია" (კამენსკ-ურალსკი) — „ჩაიკა" (ტომსკის ოლქი) 3:0, „გიოკ-გიოლი" (კიროვაბადი) — „სალუტი" (ივანოვო) 4:0.

მეორე ეშელონში უნდა აღინიშნოს ყირგიზეთის „ალგის" დამაჯერებელი გამარჯვება იაროსლავლის „ორლიონოკთან" — 6:1, მესამე ეშელონში კი — ყაზახეთის „მოლნიის" მოგება ლენინგრადის „ვზლიოტთან" — 8:0.

## სპორტული საათი!

◆ **პორტო სან-ჯორჯო** (იტალია), **24 აგვისტო.** აქ დაიწყო იუნიორ კალათბურთელთა ევროპული ჩემპიონატი. წინა ტურნირში გამარჯვებულებმა — საბჭოთა სპორტსმენებმა პირველ მატჩში დაამარცხეს ესპანელები — 66:55 (31:24). ტურნირში მონაწილეობენ საფრანგეთის, იტალიის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და ფინეთის ნაკრები გუნდები.

◆ **სტოკჰოლმი, 24 აგვისტო.** ნორვეგიელმა მძლეოსანმა ქალმა ბ. ბერტელსენმა აქ გამართულ შეჯიბრებაში დაამყარა თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი 400 მეტრზე რბენაში — 54,3 წამი. ეს ერთ-ერთი საუკეთესო დროა წლეულს ევროპაში.

◆ **მეხიკო, 24 აგვისტო.** აქ დიდი ინტერესი გამოიწვია ფეხბურთელთა ამხანაგურმა მატჩმა „ბენფიკა" (ლისაბონი) — „ამერიკა" (მეხიკო). გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:0. 2 გოლის ავტორია ეუსებიო.

◆ **ლა ბაული, 24 აგვისტო.** საფრანგეთის ამ ყურეში სტარტი აიღო „ფინის" კლასის აფროსანთა შეჯიბრებამ „ოქროს თასისთვის". მსოფლიოს ამ არაოფიციალურ ჩემპიონატში 150 სპორტსმენი მონაწილეობს, მათ შორის, 3 სსრ კავშირის წარმომადგენელია — კიეველი ვ. მანკინი, მოსკოველი ვ. ჭოზლოვი და ვოლგოგრადელი ვ. გურიანოვი. პირველი რბოლა გაიმართა 2-დან 3 ბალამდე სიძლიერის ქარში. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო მანკინი (XII ადგილი). გაიმარჯვა პ. სპრეიუმ (აშშ).



## „განთიადმა" იმარჯვა

**ხარკოვი, 24 აგვისტო** (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). „დინამოს" აუზში გაიმართა „ბ" კლასის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო შეჯიბრების მორიგი მატჩები. ხარკოვის „დინამომ" დაამარცხა თანაკლუბელები მოსკოვის ოლქიდან — 6:4, ხოლო თბილისის „განთიადმა" ასეთივე ანგარიშით — ლვოვის არმიელები. ლენინგრადის „ტრუდისა" და გსვგ-ს კოლექტივის შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 3:3.

როგორც ცნობილია, ბერლინის გარეუბანში მდებარე ლანგეზეეს ტბაზე გამართულ მსოფლიო პირველობაში ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მათ დაისაკუთრეს ოქროს 6, ვერცხლის 3 და ბრინჯაოს 4 მედალი და საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს.

**სურათზე:** ბრინჯაოს მედლების მფლობელები ორადგილიანი ბაიდარებით 500 მეტრზე რბოლაში ვ. ობრაზცოვი და გ. კარიუხინი.

ფოტო ადნ-საკდესისა.

# გეგმები და შესრულება

## 1 აგვისტოსთვის

### საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების 1966 წლის გეგმა-ვალდებულების შესრულების მიმდინარეობის ცხრილი

| რაიონების, ქალაქების, ოლქების (ასსრ) დასახელება | იმშთ და მშთ ნიშნოსნები | | II, III და მოზარდთა თანრიგოსნები | | პირველთანრიგოსნები და ოსტ. კანდიდატები | | სპორტის ოსტატები ეროვნულ სახეობებში | | სპორტის ოსტატები და საერთაშორისო სპორტის ოსტატები | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გეგმა | შესრულება | გეგმა | შესრულება | გეგმა | შესრულება | გეგმა | შესრულება | გეგმა | შესრულება |
| აფხაზეთის ასსრ | 5768 | 5493 | 12112 | 6462 | 218 | 124 | — | — | 19 | 4 |
| აჭარის ასსრ | 2412 | 4126 | 9915 | 5833 | 194 | 147 | — | — | 11 | 5 |
| სამხრეთ ოსეთის ა. ო. | 2208 | 1163 | 3745 | 801 | 51 | 31 | — | 3 | 2 | 1 |
| ქ. თბილისი | 10576 | 10735 | 26322 | 12897 | 784 | 264 | — | — | 100 | 20 |
| ქ. გორი | 1310 | 573 | 1675 | 847 | 35 | 32 | — | — | 2 | 2 |
| ქ. ფოთი | 666 | 510 | 2005 | 1113 | 19 | 30 | — | — | 2 | — |
| ქ. ქუთაისი | 4731 | 4956 | 6488 | 4809 | 140 | 172 | — | — | 12 | 4 |
| ქ. რუსთავი | 1768 | 739 | 3472 | 1924 | 64 | 47 | — | — | 3 | 4 |
| ქ. ტყიბული | 1000 | 780 | 1604 | 1030 | 3 | 2 | — | — | 1 | — |
| ქ. ჭიათურა | 813 | 1121 | 1821 | 1039 | 3 | 12 | — | — | 1 | — |
| **რაიონები** | | | | | | | | | | |
| აბაშა | 315 | 420 | 677 | 699 | 5 | 7 | — | — | — | — |
| ამბროლაური | 424 | 750 | 629 | 545 | — | 7 | — | — | — | — |
| ახალქალაქი | 455 | 1061 | 1290 | 1015 | 3 | 7 | — | — | 1 | — |
| ახალციხე | 1559 | 1399 | 2747 | 1883 | 31 | 31 | — | — | — | 1 |
| ახმეტა | 878 | 590 | 1200 | 518 | 2 | 2 | — | — | 1 | — |
| ადიგენი | 360 | 210 | 231 | 115 | 1 | — | — | — | — | — |
| ასპინძა | 645 | 359 | 215 | 165 | 1 | — | — | — | — | — |
| ბოგდანოვკა | 332 | 290 | 724 | 325 | 2 | — | — | — | — | — |
| ბოლნისი | 532 | 497 | 1178 | 612 | — | — | — | — | — | — |
| ბორჯომი | 675 | 386 | 1360 | 101 | 13 | 10 | — | — | 1 | — |
| ვანი | 1175 | 760 | 659 | 378 | — | — | — | — | — | — |
| გარდაბანი | 1980 | 990 | 2050 | 1085 | 23 | 5 | — | — | 2 | 4 |
| გეგეჭკორი | 502 | 1685 | 1114 | 630 | 1 | — | — | — | — | — |
| გორი | 832 | 1022 | 1355 | 1516 | 3 | 16 | — | — | — | — |
| გურჯაანი | 1180 | 1247 | 1861 | 948 | 8 | 14 | — | — | 1 | — |
| დმანისი | 282 | 250 | 625 | 375 | — | — | — | — | — | — |
| დუშეთი | 390 | 999 | 1094 | 758 | 2 | 3 | — | — | — | — |
| ზესტაფონი | 1307 | 982 | 1486 | 701 | 4 | 1 | — | — | 1 | — |
| ზუგდიდი | 1325 | 2072 | 2215 | 1264 | 16 | 11 | — | — | 1 | — |
| ყაზბეგი | 265 | 113 | 371 | 185 | 2 | 1 | — | — | 1 | — |
| ქარელი | 603 | 415 | 250 | 178 | — | — | — | — | — | — |
| კასპი | 691 | 531 | 1239 | 641 | 7 | 11 | — | 3 | 2 | 1 |
| ყვარელი | 740 | 893 | 963 | 963 | 6 | — | — | — | — | — |
| ლაგოდეხი | 1400 | 1020 | 1140 | 840 | 7 | 18 | — | — | — | — |
| ლანჩხუთი | 683 | 1185 | 897 | 827 | 5 | 9 | — | — | — | — |
| ლენტეხი | 332 | 350 | 418 | 311 | 2 | — | — | — | — | — |
| მარნეული | 812 | 745 | 1391 | 1283 | 1 | — | — | — | — | — |
| მახარაძე | 1385 | 1740 | 1903 | 1348 | 13 | 10 | — | — | 2 | — |
| მაიაკოვსკი | 400 | 528 | 709 | 480 | 10 | 5 | — | — | — | — |
| მესტია | 507 | 464 | 599 | 522 | 7 | 29 | — | — | 1 | — |
| მცხეთა | 980 | 854 | 955 | 616 | 4 | — | — | 1 | 2 | — |
| ონი | 960 | 679 | 573 | 438 | 4 | 5 | — | — | — | — |
| ორჯონიკიძე | 789 | 650 | 636 | 340 | — | 4 | — | — | — | — |
| საგარეჯო | 489 | 1331 | 964 | 790 | 5 | — | — | — | 1 | — |
| სამტრედია | 1829 | 1150 | 2072 | 1263 | 19 | 9 | — | — | 1 | — |
| საჩხერე | 1150 | 1270 | 899 | 820 | 1 | — | — | — | — | — |
| სიღნაღი | 809 | 1104 | 1205 | 682 | 6 | — | — | — | — | — |
| თელავი | 945 | 1768 | 1774 | 1338 | 15 | 11 | — | — | 1 | — |
| თერჯოლა | 6.8 | 1261 | 835 | 730 | — | — | — | — | — | — |
| თეთრი წყარო | 765 | 580 | 766 | 753 | — | — | — | — | — | — |
| თიანეთი | 725 | 436 | 462 | 374 | — | — | — | — | — | — |
| ხაშური | 1764 | 1813 | 1747 | 1341 | 8 | 9 | — | — | — | — |
| ხობი | 367 | 785 | 713 | 715 | — | — | — | — | — | — |
| ცაგერი | 955 | 939 | 656 | 568 | — | 8 | — | — | — | — |
| წალენჯიხა | 995 | 166 | 800 | 489 | — | — | — | — | — | — |
| წალკა | 252 | 408 | 951 | 507 | — | 7 | — | — | — | — |
| წითელწყარო | 307 | 844 | 757 | 563 | 1 | — | — | — | 1 | — |
| წულუკიძე | 753 | 1494 | 1325 | 648 | 5 | 25 | — | — | 1 | — |
| ცხაკაია | 1077 | 947 | 1364 | 741 | 8 | 6 | — | — | 1 | — |
| წყალტუბო | 1819 | 1431 | 1385 | 1001 | 5 | 8 | — | — | — | — |
| ჩოხატაური | 640 | 380 | 682 | 562 | 3 | 2 | — | — | — | — |
| ჩხოროწყუ | 480 | 547 | 133 | 85 | — | — | — | — | — | — |
| სულ რესპუბლიკაში | 73696 | 75006<br>100,2% | 123368 | 73130<br>59,3% | 1770 | 1151<br>65% | — | 7 | 175 | 46<br>26,3% |



# აფროსანთა და ნიჩბოსანთა სარბიელი

სპორტული ცხოვრება არ ცხრება ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში. ნორჩებს განსაკუთრებით იზიდავს აქ მდებარე წარმტაცი ტბა, რომელიც აფროსანთა და ნიჩბოსანთა სარბიელადაა ქცეული. ტბაზე სისტემატურად მიმდინარეობს საწვრთნელი ვარჯიშები და სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებები.

სურათზე: პიონერთა და მოსწავლეთა პარკის ტბის საერთო ხედი.

ფოტო ა. ჩანტლაძისა.

# საკუთარი ძალებით

ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატს დიდხანს არ ჰქონდა საკუთარი სპორტული ბაზები. აქაური ფიზკულტურელები საწვრთნელ მეცადინეობებსა და შეჯიბრებებს ქალაქის სხვადასხვა სტადიონსა და მოედანზე ატარებდნენ.

წლეულს კომბინატს გადაეცა ახალი ოთხსართულიანი შენობა ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე. საწარმოს სპორტის მოყვარულებმა გადაწყვიტეს კომბინატის ტერიტორიაზე საკუთარი ძალებით მოეწყოთ ფეხბურთის მინდორი. და აი, ამ დღეებში, აქ პირველი თამაშიც გაიმართა.

სულ მოკლე ხანში მწყობრში ჩადგება ფრენბურთისა და კალათბურთის ახალი მოედნებიც.

**ი. მუხაიძე.**

ქუთაისი.

# ქსნის ხეობის ფალავნები

ლენინგორში ჩატარდა ქსნის ხეობის პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ დაბა ლენინგორის, კასპის რაიონის სოფელ ლამისყანის, დუშეთის რაიონის სოფელ ოძისის და მცხეთის რაიონის სოფელ ქსოვრისის ათლეტები.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: თ. ჩიღინდრიშვილი, ჰ. მახარაშვილი, რ. ლოხიშვილი (ყველანი — ქსოვრისი), მ. ხოხიევი, ი. ჩერტკოევი (ორივენი — ლენინგორი), გ. ბალხამიშვილი (ლამისყანა), გ. ბედოევი (ლენინგორი), რ. შერმადინი (ოძისი).

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ქსოვრისელმა ფალავნებმა. II ადგილზე გავიდა ოძისის, ხოლო III— ლამისყანის გუნდი.

**ა. მარგიევი.**

ლენინგორი.

# „მექარემ" ცვლა მიიღო

თითქოს სულ ახლახან იყო: საბჭოთა სპორტული ლიტერატურის „კარში" ეულად იდგა ანტონ კანდიდოვი და ცვლას ელოდა, ელოდა მოთმინებით, შეუპოვრად. ცნობილი მწერლის ლევ კასილის გმირს, ჩვენს საყვარელ „რესპუბლიკის მეკარეს" კარგა ხანს მოუხდა ცდა. მართალია, ომამდე ჩვენში გამოიცა რამდენიმე წიგნი და ბროშურაც სპორტულ თემაზე, მაგრამ ეს წიგნები არც განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩეოდნენ და არც დიდი პოპულარობით. ამას გარდა, საქართველოშიც დაიბეჭდა ათიოდე ბროშურა, რომლებიც, ძირითადად, ტურიზმსა და ალპინიზმს მიეძღვნა (მაგალითად, გ. გიორგაძის „თხილამურებით კავკასიონზე" და სხვ.).

ცხადია, მხოლოდ ეს ვერ შექმნიდა ამინდს ჩვენი ქვეყნის სპორტულ ლიტერატურაში.

და აი, დიდი სამამულო ომის შემდეგ ჩვენი სპორტი მტკიცე, დამაჯერებელი ნაბიჯით გავიდა საერთაშორისო სარბიელზე. გაზეთებს სულ ხშირად მოჰქონდათ საბჭოთა სპორტსმენების დიდი წარმატებების ამბავი.

ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკებში დაიწყო გამოსვლა სპორტულმა გაზეთებმა, ჟურნალებმა, ბევრად გაიზარდა საკავშირო ბეჭდვითი ორგანოების — „სოვეტსკი სპორტისა" და „ფიზკულტურა ი სპორტის" ტირაჟები, გამოჩნდა ომისშემდგომი პერიოდის პირველი წიგნები ფიზკულტურისა და სპორტის თემაზე. მათი რიცხვი წლითიწლობით იზრდებოდა.

საქართველოში მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. ჯეჯელავას წიგნმა „ქართველი ფეხბურთელები ირანსა და რუმინეთში" („საბლიტგამი", 1947 წ.). იგი, მართალია, ვერ დაიკვეხნიდა პოლიგრაფიული თვალსაზრისით, მაგრამ ეს გამოისყიდა წიგნის „ისტორიულმა" ხასიათმა, ფაქტებმა, სურათებმა.

გ. ჯეჯელავას წიგნს იმავე წელს მოჰყვა ცნობილი კარიკატურისტის ი. გუროს „მეგობრული შარჟები" თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებზე. წიგნში დაბეჭდილი იყო კითხვა-პასუხები ფეხბურთის წესებიდან, სსრ კავშირის ჩემპიონთა და თასის მფლობელთა სიები, გათამაშების ცხრილები.

ამ ორ ბროშურაზე განსაკუთრებით იმიტომ შევაჩერეთ ყურადღება, რომ ისინი, შეიძლება ითქვას, პირველი მერცხლები იყვნენ ქართული სპორტული ლიტერატურისა.

მერცხლებმა გაზაფხული მოიყვანეს. 1954 წელს ქართველმა გულშემატკივრებმა მიიღეს კარგი საჩუქარი — ე. ყიფიანის „ბურთი და მოედანი". წიგნში შევიდა ნარკვევები გამოჩენილ ქართველ სპორტსმენებზე ბ. პაიჭაძეზე, ე. გოკიელზე, ნ. დუმბაძეზე, ო. ქორქიაზე, დ. ციმაკურიძეზე, ნ. დვალიშვილზე, სახელგანთქმულ 35-ე საფეხბურთო სკოლაზე. საინტერესო ნაშრომი კიდევ უფრო გაამდიდრა გემოვნებით შერჩეულმა ილუსტრაციებმა და კარგმა გაფორმებამ. რაც მთავარია, ამ წიგნმა დაადასტურა ქართული სპორტული ლიტერატურის მდიდარი შესაძლებლობები.

მომდევნო წლებში ჩვენი რესპუბლიკის წიგნის თაროზე გაჩნდა ბილ-ბელოცერკოვსკის „რინგის ირგვლივ", ა. კაიშაურის „მეცნიერი-სპორტსმენი" (წიგნი პროფ. გიორგი ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ), მ. ვადბოლსკის „ჭადრაკი 1400 წლის მანძილზე", მ. გორგაძის „ფიზკულტურა და სპორტი საქართველოში", ა. ცამციშვილის „ქართველი ცხენოსნები უცხოეთში", გ. ანთაძის „ფეხბურთელის მოგონებანი" და სხვ.

საგრძნობლად გამდიდრდა ქართული სპორტული ლიტერატურა 1960 წლიდან „ნაკადულმა" გამოსცა გ. მახარაძის წიგნი „ჭადრაკი და გამოჩენილი ადამიანები", ბ. პაიჭაძისა და ბ. ქორქიას „ბრძოლა ოქროს ქალღმერთისათვის" და სხვ. მალე ამ გამომცემლობამ შექმნა საგანგებო სერიაც — „გულშემატკივრის თანამგზავრი". ამ სერიით დღეისთვის უკვე 20-მდე საინტერესო წიგნი დაიბეჭდა. ეს დიდი, კარგი საჩუქარია ჩვენი მკითხველისთვის.

განსაკუთრებული მადლობა გვეთქმის გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" მიმართ. „საბჭოთა საქართველო" სპორტულ ლიტერატურას გამოცემს სამი სერიით: „საბჭოთა სპორტის ვეტერანები", „სპორტული მოთხრობები" და „ლელოს" ბიბლიოთეკა". ქართველმა სპორტის მოყვარულებმა უკვე მიიღეს ჯ. ლონდონის, ე. ჰემინგუეის, ა. ნესინის მოთხრობები, კ. ჯავრიშვილის „მთის რაინდი" (ჩვენს გამოჩენილ მთამსვლელზე ალექსანდრე ჯაფარიძეზე), რ. კიკნაძის „მტკვრისპირა შევარდენი" (ქართველ ტანმოვარჯიშეთა მამაზე — გ. ეგნატაშვილზე) და სხვ.

გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ გ. გამრეკელის „100 წლის ფეხბურთი", „ჩუნდები და ვარსკვლავები" და სხვ.

1956 წლიდან მოკიდებული, „საბჭოთა საქართველო" სისტემატურად უშვებს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებისადმი მიძღვნილ ფოტოალბომებს. ასეთი ალბომის გამოცემა 1967 წლის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვისაცაა განზრახული.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ გამომცემლობას მჭიდრო კონტაქტი აქვს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციასთან, რასაც გარკვეული სარგებლობა მოაქვს გამოსაცემი ლიტერატურის თემატიკის დადგენის საქმისთვის.

ო. ნოზაძე.

ფეხბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი

I ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის ერთმანეთს შეხვდნენ „ლიახვი" (ცხინვალი) — „ფეიქარი" (წულუკიძე).

მატჩის პირველი ნახევარი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა გახსნეს ანგარიში, რასაც „ფეიქარმა" გოლითვე უპასუხა — 1:1.

შემდგომში ცხინვალელებმა მტკიცედ აიღეს ხელთ ინიციატივა და გაიმარჯვეს — 3:1.

### I ჯგუფის II ქვეჯგუფი

#### I ზონა

„სამცხე" (ახალციხე) — „არაგვი" (მცხეთა) 2:2, „დუღუჯი" (ყვარელი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 3:0, „მეტალურგი" (რუსთავი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 1:1.

#### II ზონა

„ლაითური" (მახარაძე) — „ცოისარტყელა" (თბილისი) 2:1, „სანთმე" (მაიაკოვსკი) — „ზემო ქართლი" (ხაშური) 1:0, „მექანიზატორი" (ფოთი) — „ციხკარა" (ბათუმი) 3:1, „ჩიხურა" (საჩხერე) — „სამგურალი" (წყალტუბო) 0:3, „კოლხეთი" (ხობი) — „აერო" (გალი) 0:2, „სალხინო" (გეგეჭკორი) — „სულორი" (ვანი) 1:1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მადამ ბატერფლაი

ბორის ლასკინი

თამარი წყალში სახტომი კოშკურის კიდეში იდგა და ხელები აეწია. ქვემოთ, შავად შეღებილ ჯებირებში მომწყვდეული წყლის სარკე ლივლივებდა. რეზინის წითელ ქუდსა და ზღვისფერ საცურაო კოსტუმში გამოწყობილი, მზემოკიდებული ქალიშვილი ბრინჯაოს ქანდაკებას ჰგავდა.

ქალიშვილის შესახებ იგივე აზრი მთელის პასუხისმგებლობით გამოთქვა კიდევ ორმა: პირველთანრიგოსანმა სერგეი მაქსიმოვმა და ჩალისქუდიანმა უცნობმა მამაკაცმა. იგი საცურაო აუზის ღია ტერასაზე იჯდა და ქალიშვილს დაუფარავი აღტაცებით შესცქეროდა.

თამარმა ხელები მოხდენილად დაუშვა და გადახტა. ეს იყო მსუბუქი, ჭეშმარიტად ოსტატური ნახტომი.

— ძალიან კარგი იყო, თამრიკო! არაფერი მეთქმის, ნაკლს ვერ უპოვნის კაცი.

— ნახტომს არა უშავდა რა, — მოისმა ვიღაცის ხმა და ახალგაზრდებმა იქით მიიხედეს.

უცნობი მამაკაცი მოაბიჯებდა.

— ნება მომეცით, წარმოგიდგეთ! — თამარს მდაბლად მიესალმა, სერგეის კი დაუდევრად გადახედა. — სპორტის დამსახურებული ოსტატი ვასილ ვასილის ძე პიატკინი!

თამარმა ცნობისმოყვარეობითა და პატივისცემით შეხედა პიატკინს. მათ ქალაქს ჯერ არც ერთი სპორტის დამსახურებული ოსტატი არ ჰყავდა და უცბად ასეთი შემთხვევა!

— ძალიან სასიამოვნოა, — გაიღიმა თამარმა. — სპორტის რომელ სახეობაში მიიღეთ ეს წოდება?

— ცურვაში, წყალში ხტომაში, — მორცხვად უპასუხა პიატკინმა. — ასე ვთქვათ, თქვენი კოლეგა ვარ.

— რას ამბობთ? თუ ასეა, ბედმა გაგვიღიმა და ეს არის, არა, სერიოჟა?

— დიახ... რასაკვირველია, — დაიბნა სერიოჟა და მხრები აიჩეჩა. „პიატკინი? რაღაც არ მახსოვს ასეთი გვარი, ისიც დამსახურებული ოსტატი", — გაიფიქრა.

— პირადად მე სპორტს დიდი ხანია თავი დავანებე, — ამოიოხრა პიატკინმა.

— რატომ? შეგემთხვათ რამე? — ჰკითხა თამარმა.

სამივენი სკამზე ჩამოსხდნენ.

— მე, მეგობრებო, თქვენზე ათი წლით უფროსი ვარ. — პიატკინის სიტყვები ორივესკენ იყო მიმართული, მაგრამ იგი რატომღაც მხოლოდ თამარს უცქერდა.

„დავუშვათ ათით კი არა, მთელი ოცი წლით", — გაიფიქრა სერგეიმ.

— ერთი უხერხო ნახტომი და დავეჯახე, აი, იმას... რა ჰქვია?... მიწას, ჰოდა, ტრავმაც მივიღე. ახლა არც ცურვა შემიძლია და არც წყალში ხტომა. მხოლოდ სხვებს ვასწავლი. — პიატკინმა თავი სინანულით გაიქნია და გაიღიმა. — ასე ვთქვათ, ახალგაზრდა ტალანტებს ვზრდი.

— იცით, რა? სამწუხაროდ, ახლა მე და სერგეის ძალიან გვეჩქარება, — თქვა თამარმა. — ალბათ დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს ქალაქს ესტუმრეთ.

— მხოლოდ სამი დღეა. ჩამოვედი თუ არა, გულმა წყლისკენ გამომწია. — პიატკინმა ქალიშვილის მზემოკიდებული მხრები აღმაცერად შეათვალიერა.

— ხვალ ვერ შემოივლით? — ჰკითხა თამარმა. — ჩვენთვის ეს ძალიან საჭირო იქნებოდა. ხომ მართალს ვამბობ, სერიოჟა? რჩევას მოგვცემდით ცურვის ტექნიკაში და, საერთოდ...

— ხვალ რომელ საათზე იქნებით იქ? — გადაჭარბებული ინტერესით იკითხა პიატკინმა.

„აი, ტიპი, — გაბრაზდა სერგეი. — მე არაფრად მაგდებს, თითქოს არც ვარსებობდე".

— ხვალ შაბათია? ვარჯიში მაქვს... ოთხი საათისთვის აქ ვიქნებით. ხომ მოხვალთ?

— აუცილებლად მოვალ, — უპასუხა პიატკინმა და ქალიშვილს ისეთი თვალებით შეხედა, რომ სერგეიმ მეტის ატანა ველარ შეძლო და თავში წაივლო ხელი.

### იუმორისტული მოთხრობა

— რა დაგემართათ, ყმაწვილო?

— არაფერი... მე... ასე ვთქვათ, საერთოდ თავი მტკივა... ნახვამდის, — სერგეი იქაურობას ისე სწრაფად გაეცალა, რომ თამარი სახტად დარჩა.

— მაშ, ხვალამდე? — თამარმა პიატკინს ღიმილით მოხედა და ვაჟს გაეკიდა.

— ხვალამდე! — პიატკინმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა, მაგრამ თამარს ეს არ შეუმჩნევია. თამარს არც ის დაუნახავს, პიატკინი რომ რესტორანში შევიდა, შემდეგ კი კარგად შეზარხოშებულმა სპორტული ლიტერატურის გასაცნობად ქალაქის სამკითხველოს მიაკითხა.

მეორე დღეს პიატკინი დანიშნულ ადგილზე ცოტა დაგვიანებით გამოცხადდა. სპორტსმენთა ჯგუფში თამარს მოჰკრა თვალი, მისკენ გაეშურა და ყვავილების დიდი თაიგული მიართვა. ქალიშვილი ამან დიდად გააოცა, მაგრამ პიატკინმა მას დამსახურებული ოსტატის შემწყნარებლობით მოუთათუნა მხარზე ხელი და ხმადაბლა უთხრა:

— გამარჯვებულს, დამარცხებულისაგან!

— რას ბრძანებთ, სადაური გამარჯვებული ვარ? — გაიოცა თამარმა. მას მხედველობაში ცურვა ჰქონდა.

— სწორედ რომ გამარჯვებული ხარ, — ჯიუტად გაიმეორა პიატკინმა, რომელსაც მხედველობაში ცურვა არ ჰქონდა. შემდეგ განაგრძო: — მაშ ასე, დავიწყოთ თეორიით... — პიატკინი თამარის გვერდით მოკალათდა. მათ გარშემო მსმენელთა დიდმა ჯგუფმა მოიყარა თავი კაცი უკმაყოფილებას ვერ ფარავდა. მიხვდა, რომ ქალიშვილთან წინასწარ გამიზნული, მრავალმნიშვნელოვანი მოლაპარაკების ცდა აშკარად ეფუშებოდა. „როგორც ჩანს, ამ გოგონამ ჩემზე ყველას უამბო", — პიატკინმა ამოიხვნეშა, ძალ-ღონე მოიკრიბა და დაიწყო:

— ფიზიკური ვარჯიშებიდან არც ერთი ავითარებს ისე სუნთქვას, როგორც ცურვა. ვინც წყალში კარგად სუნთქავს, ის კარგადაც ცურავს.

ახალგაზრდები ცნობისმოყვარეობით უსმენდნენ პიატკინს, რომელიც თავის აზრებს თამამად ავითარებდა და დროდადრო თეზისებში იხედებოდა.

— გაიხსენეთ არქიმედის კანონი, — მიმართა მან შეკრებილ ქალიშვილებს. — სითხეში ჩაშვებული ყოველი სხეული კარგავს... ავტორიტეტს, თუ მან, ასე ვთქვათ, არ იცის ცურვა.

ათი წუთის შემდეგ ყველანი დარწმუნდნენ, რომ დამსახურებული ოსტატი არც თუ ისე ზუსტად გადმოსცემდა ცნობილი სახელმძღვანელოს „ცურვა და წყალში ხტომის" შინაარსს.

— შეკითხვა მაქვს, — ხელი აწია სპორტსმენმა ჭაბუკმა. — თუ შეიძლება, აგვიხსენით წყალში ხტომის წესი მოხრილ მდგომარეობაში.

პიატკინი უსიამოვნოდ მოიღუშა.

თამარმა შემკითხველს მიხედა და სერგეი შენიშნა. ეტყობა, სერგეი კარგ ხასიათზეა: იღიმება და პიატკინს მხიარულად შესცქერის.

— სანამ თქვენს კითხვას ვუპასუხებდე, — თქვა პიატკინმა, — მინდა საკუთარი გამოცდილება გაგიზიაროთ, კერძოდ, როგორ ვხტებოდი წყალში...

პიატკინს თეზისები სკამზე, თითქმის წყლის ნაპირზე ეწყო. ოსტატი ხშირად იხედებოდა მასში და თამამად ლაპარაკობდა:

— გადახტომისას ბიძგს ვაკეთებდი მაღლა და წინ, მუხლები მკერდთან მომქონდა და უკაცრავად... ტანის უკანა ნაწილს მივმართავდი ოდნავ მაღლა.

— ცურვის რომელ სახეობას იცნობთ? — შეაწყვეტინა სერგეიმ.

— რომელ სახეობებს? — შეშფოთდა პიატკინი. ამ დროს ქარმა წამოუბერა და თეზისები ჰაერში მიმოიფანტა.

— თუ შეიძლება, „უშპარგალკოდ", თქვენი სიტყვებით აგვიხსენით, — არ ეშვებოდა სერგეი.

„ნეტავ, რა უხარია სერგეის ასე ძალიან?" — უკვირდა თამარს.

— ცნობილია ცურვის რამდენიმე სახეობა, — თქვა პიატკინმა. — კროლი (მან მთელი მახსოვრობა დაძაბა), კროსისებური, არა, ბრასისებური... და ისა, რა ჰქვია?... აი, ოპერაც არის ისეთი... ჰო, მომაგონდა, მადამ ბატერფლაი!... საერთოდ, ცურვას მრავალი სახეობა აქვს, მაგრამ მეცნიერებას მათი რიცხვი ჯერ არ დაუდგენია... ამრიგად, ამხანაგებო, დღეისათვის კმარა და შემდეგისთვის...

პიატკინი წამოდგა და თამარს ხელი გაუწოდა:

— მინდა, ასე ვთქვათ, პირადად მოგელაპარაკოთ!

თამარმა უარის ნიშნად თავი გაიქნია და გატრიალდა. ცხელ ბოგირზე ქალიშვილი შიშველი ფეხებით მიაბიჯებდა. ზურგს უკან კი პიატკინის ჩურჩული ესმოდა:

— ნება მომეცით, ამ საღამოს ბოთლ ღვინოს შემოვუსხდეთ და, ასე ვთქვათ, გავარჩიოთ...

პიატკინს რისი გარჩევა სურდა თამარმა ამის გაგება ვერ მოასწრო: დგაფანი მოისმა და „სპორტის დამსახურებული ოსტატი", რომელსაც სველ ფიცარნაგზე დაუცდა ფეხი, წყალში აღმოჩნდა.

ბოგირიდან ნაპირამდე ხუთი ნაბიჯი იყო. შიშისგან თვალებდაჭყეტილი პიატკინი ზედაპირზე ამოტივტივდა და პირიდან ვეებერთელა შადრევანი ამოუშვა, ჩალის ქუდი კბილებში გაიჩარა და ნაპირისკენ ძაღლურად გაცურა.

— თამამად, თამამად! ისუნთქე ცხვირით! — ბრძანებებს იძლეოდნენ ნაპირიდან.

— კროლიდან ბრასზე გადადით!

— ტანის უკანა ნაწილი მიმართეთ მაღლა!

სერგეი თამარს მიუახლოვდა. ქალიშვილი სიცილით იგუდებოდა.

მთლად გალუმპულმა პიატკინმა, როგორც იქნა, ნაპირს მიაღწია, ტანსაცმელი დაიფერთხა, ქუდი დაიხურა, ვიღაცას ხელით დაემუქრა და მოკურცხლა.

როცა სერგეიმ სიცილით გული იჯერა, თამარის წინაშე ცერემონიალურად მოიხადა ქუდი და უთხრა:

— წავიდეთ, გადავხტეთ, მადამ ბატერფლაი!

თარგმნა ელზა ახვლედიანმა.

## ახალი ამბები

● უტრეხტი, 23 აგვისტო. საბჭოთა მოცურავეებმა, როგორც ცნობილია, მოიგეს კომბინირებული ცურვა 4×100 მეტრზე. აი, ოქროს მედლების მფლობელები: ვ. მაზანოვი, გ. პროკოპენკო, ვ. კუზმინი, ლ. ილიჩოვი. მათი დროა 4.02,4. II ადგილზე არიან გდრ-ის სპორტსმენები — 4.02,9, ხოლო III — უნგრელები — 4.05,9. დამთავრდა წყალბურთელთა შესარჩევი ტურნირი. ნახევარფინალურ ჯგუფებში მოხვდნენ: პირველში — სსრ კავშირი, რუმინეთი, იტალია და გფრ, მეორეში — უნგრეთი, ჰოლანდია, გდრ და იუგოსლავია. გუნდურ ჩათვლაში როგორც ვაჟთა ისე ქალთა კოლექტივებს შორის, ლიდერობენ საბჭოთა სპორტსმენები. ქალებს 42 ქულა აქვთ, ხოლო ვაჟებს — 47.

● ლენინგრადი, 23 აგვისტო. დამთავრდა სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატი წიდიან ბილიკზე მოტორბოლაში. უძლიერესის სახელი დაისაკუთრა ლენინგრადის კლუბმა „ნევამ". II ადგილზე არიან ლვოველი არმიელები. ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს როვნოს „რადუგის" მრბოლელებმა. ლენინგრადელებს წარმატების მოპოვებაში დაეხმარა ჩინებული მოტოდრომი, რომელიც ახლახან ჩადგა მწყობრში.

● ტულა, 23 აგვისტო. 4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლა მოლოდ შედეგით დაამთავრა 20 წლის ბ. რიბინმა (ტულა) — 4.58,4. ეს შედეგი სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის ოსტატის ნორმაზე უკეთესია. გამარჯვებულის თანაქალაქელმა ბ. პეტროვმა 500 მეტრზე ადგილიდან გიტში დაამყარა ჭაბუკთა ახალი საკავშირო რეკორდი — 34,4. ეს აქ, რსფსრ-ს, ბულგარეთისა და რუმინეთის ველოსიპედისტთა სამატჩო შეხვედრაზე მოხდა.

● რიო-დე-ჟანეირო, 23 აგვისტო. ფეხბურთელთა ეროვნული გუნდების ხელმძღვანელთაგან სამშობლოში უკანასკნელი დაბრუნდა ვ. ფეოლა. ბრაზილიელთა მწვრთნელი მან სხვისი სახელით ჩაფრინდა, ხოლო „კამპინოსის" აეროდრომზე იგი შავი სათვალით შეინიღბა. მაგრამ მას მაინც იცნობდნენ და მოსალოდნელ შემთხვევითობათა თავიდან ასაცილებლად, ადმინისტრაციამ 22 გვარდიელი გამოყო. მაგრამ ეს „საპატიო ყარაული" სულაც არ შეიქნა საჭირო.

## კუს შეწირვით

პეტროზავოდსკი, 23 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის აქაურ ნახევარფინალში 14 სპორტსმენი მონაწილეობს, რომელთა შორის არიან თბილისელებიც — ც. კობაიძე და ნ. ჩიქობავა.

I ტურში კობაიძე დამარცხდა ოსტატ სკეგინასთან, ჩიქობავა — შადურასთან. II ტურში კობაიძემ მოუგო ჩიქობავას. III ტურში კობაიძემ გადადო პარტია მიხაილოვასთან, ხოლო ჩიქობავამ დამაჯერებლად გაიმარჯვა მოსკოვის სამგზის ჩემპიონთან, ოსტატ კაცკოვასთან.

აი, ეს პარტიაც:

ჭადრაკი

### კაცკოვა — ჩიქობავა

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 d6 8. c3 0—0 9. h3 h6 10. d4 ეe8 11. მd2 კf8 12. მf1 კd7 13. მg3 g6 14. მh2 მa5 15. კc2 c5 16. f4 cd 17. cd ლb6 18. მf3 ეac8 19. მფh1 ed 20. მ:d4 კg7 21. მf3 ლf2 22. მe2? კ:h3! 23. gh ლ:f3+ 24. მფg1 ლ:h3 25. მc3 ლg3+ 26. მფf1 მg4. თეთრები დანებდნენ.

3 ტურის შემდეგ ლიდერობენ სკეგინა (2,5), ზვორიკინა, ვართანიანი, არჩაკოვა, შადურა, ტიხომიროვა (2-2).

ო. ალხანიშვილი.

# საყურადღებო ექსპერიმენტი

საბჭოთა ფეხბურთელებმა, როგორც ცნობილია, მესამედ მიიღეს მონაწილეობა მსოფლიო პირველობაში. უცხოეთის სპორტულ წრეებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მეთოდი, რომელსაც მიმართავენ ჩვენში ნაკრების მზადების პერიოდში. აი, რას წერს ამის თაობაზე ფრანგი მიმომხილველი რეტაკერი ჟურნალ „ფუტბოლ მეგეზინში“.

„სსრ კავშირისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი, რომელიც მოსკოვში შედგა ლონდონის გადამწყვეტი მატჩების წინ, ჩვენ გვაინტერესებდა არა როგორც მხოლოდ საერთაშორისო შეხვედრა უმაღლეს დონეზე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა შორის, არამედ სხვა მხრივაც. კერძოდ, თუ როგორ ემზადებოდნენ საბჭოთა ფეხბურთელები ამ დიდი შეჯიბრებისთვის.

როგორც ცნობილია, დასავლეთი და ცენტრალური ევროპის ფეხბურთელები თამაშობენ საშემოდგომო-საგაზაფხულო კალენდრით. ზოგან ზამთრობით შესვენებაა, ხოლო უმეტეს ადგილას სეზონი მიმდინარეობს უინტერვალოდ. ამ ქვეყნებში მოთამაშეთა ფორმა თანდათან და სისტემატურად მაღლდება და თავის უმაღლეს მწვერვალს გაზაფხულზე აღწევს. ვინაიდან მსოფლიო ჩემპიონატის ვადები ზაფხულს ემთხვეოდა, ცხადია, ამ ქვეყნების გუნდები ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელ ფორმაში უნდა შეხვედროდნენ მას.

ავიღოთ, მაგალითად, ინგლისელები. თავიანთი ხანგრძლივი ჩემპიონატი მათ დაამთავრეს მაისის პირველ რიცხვებში, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატის პირველი მატჩი ითამაშეს 11 ივლისს, ე. ი. ნაკრების წევრები თავიანთ მზადებას კლუბებში განუწყვეტლივ აწარმოებდნენ 9 თვის მანძილზე, საშუალება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ხანმოკლე შეკრებებში მთავარი მწვრთნელის ა. რამსეის ხელმძღვანელობით და გადამწყვეტი ბრძოლების წინ ცოტა დაესვენათ კიდეც, რათა მთელი ძალით ჩაბმულიყვნენ უძნელეს მატჩებში. დაახლოებით ასეთივე სიტუაცია სუფევდა საფრანგეთში, დასავლეთ გერმანიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში.

აი, აქ ვუახლოვდებით იმ საკითხს, რომელსაც გვინდა შევეხოთ. მხოლოდ სსრ კავშირსა და უნგრეთში მიმდინარეობს საშინაო შეჯიბრებები ფორმულით „გაზაფხული-შემოდგომა“. ამ ქვეყნების მწვრთნელთა წინაშე დგას საკმაოდ რთული საკითხი, თუ როგორ შეერწყას ერთმანეთს რაციონალურად საშინაო და საერთაშორისო კალენდრები, კერძოდ, მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატში. როგორ უნდა მომზადდნენ ფეხბურთელები: კლუბებში თუ ნაკრებში?

თუ საქმე მიდგება დასავლეთევროპულ კალენდარზე, საბჭოთა კავშირის გრძელი, მკაცრი ზამთარი არ იძლევა ნაკრების წევრთა ადგილებზე მზადების საშუალებას. ამასთან, ადრიან გაზაფხულზე, როცა იწყება ეროვნული ჩემპიონატი, ფეხბურთელები ჯერ კიდევ შორს არიან თავიანთი საუკეთესო ფორმისგან. ნამდვილი თამაში აქ შუა ზაფხულში იწყება. საბჭოთა ფეხბურთელებმა ადრინდელ ორ მსოფლიო ჩემპიონატში წარუმატებლობა განიცადეს და სურდათ სათანადო გაკვეთილი გამოეტანათ ახალ შეცდომათა თავიდან ასაცილებლად. ცხადი იყო, რომ ნაკრები გუნდების მზადების დასავლეთ ევროპაში მიღებული წესები აღმოსავლეთში არ გამოდგებოდა. ამ დროს რუსეთის ტერიტორიის დიდ ნაწილზე ფეხბურთის თამაში არ შეიძლება...

რჩებოდა ორი გამოსავალი: ნაკრების მზადება ცალკე, საგანგებოდ შერჩეულ ადგილებზე, ან ამ ხერხის გამოყენება ნაკრების წევრთა საკუთარ კლუბებში მონაწილეობასთან ერთად. თუ ეს მეორე, კომბინირებული მეთოდი ასე თუ ისე მისაღებია უნგრელთათვის, სსრ კავშირში იგი დიდ სიძნელეს ხვდება. ყველამ იცის, რომ უნგრელებმა თავიანთი საფეხბურთო ზამთარი სამხრეთ ამერიკაში გაატარეს, სადაც ერთდროულად ემზადებოდნენ როგორც საკუთარი პირველობის, ისე მსოფლიო ჩემპიონატისთვისაც. ჩამოვიდნენ რა სამშობლოში, უნგრელები დაუბრუნდნენ თავიანთ კლუბებს, მონაწილეობა მიიღეს ქვეყნის პირველობაზე საკუთარ კლუბებში და შემდეგ გადავიდნენ ეროვნული მწვრთნელის ლ. ბაროტის განკარგულებაში. უნგრეთი არაა დიდი ქვეყანა და სატრანსპორტო პრობლემები აქ დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. სულ სხვა მდგომარეობაა საბჭოთა კავშირში. ნაკრები შემდგარია მოთამაშეთაგან, რომლებიც საცხოვრებელი ადგილით ერთმანეთსა და ნაკრების საშტაბო ბინას — მოსკოვს დაშორებული არიან ათასეული კილომეტრებით. ფაქტიურად შეუძლებელიცაა ერთდროულად ავარჯიშო ქვეყნის ნაკრები და ჩაატარო ეროვნული ჩემპიონატის მატჩები. აი, ამიტომ გადაწყვიტა საბჭოთა ფეხბურთის ფედერაციამ ერთად შეეკრიბა ნაკრების კანდიდატები და განცალკევებულ გუნდად მოემზადებინა იგი. ამის შედეგად სსრ კავშირის ნაკრები ფაქტიურად წარმოადგენს მუდმივმოქმედ ანსამბლს გარკვეული პერიოდის მანძილზე, ხოლო ცვლილებები მასში ხდება იმის მიხედვით, როგორც ამას უფროსი მწვრთნელი განსაზღვრავს.

ჩვენი აზრით, მუდმივმოქმედი ნაკრების ყოლა მაცთუნებელი რამაა, მაგრამ იგი წარმოუდგენელია პროფესიული ფეხბურთის პირობებში, ვინაიდან კლუბი არავითარ შემთხვევაში არ გაუშვებს ფეხბურთელს ხანგრძლივი დროით, თუნდაც ეს ეხებოდეს ეროვნული სპორტის პრესტიჟს. არც მაყურებელთა შორის გამოიწვევს ეს დიდ ენთუზიაზმს, ვინაიდან „კასტრირებული“ კლუბის ყურება, რომელსაც ყოველნაირად უჭერ მხარს და ქომაგობ, არ არის საინტერესო.

ევროპაში დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს სსრ კავშირის ნაკრების მზადების მეთოდს და მის შედეგებს მსოფლიო ჩემპიონატში. და არავის გაუკვირდეს, თუ ეს ექსპერიმენტი მომავალში სხვა ქვეყნებშიც იქნა მიღებული.

ამრიგად, საბჭოთა ნაკრებმა განვლო მასშტაბითა და სტაჟით ყველაზე უფრო სერიოზული მზადება. იგი დაიწყო 1965 წლის 23 მაისს საბერძნეთთან პირველი შესარჩევი მატჩით და დამთავრდა ლონდონის ფინალური ეტაპით. ამ ხნის განმავლობაში უფროსმა მწვრთნელმა გამოსცადა მრავალი ფეხბურთელი და შეძლების ფარგლებში მიაგნო საძიებელს“.

## 16 ფინალისტი სატურნირო ცხრილში

როგორ განაწილდა ადგილები ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის 16 ფინალისტს შორის? როგორც ცნობილია, ფიფა ოფიციალურად მხოლოდ 4 პირველი პრიზიორის ვინაობას ადგენს. სამაგიეროდ, ჟურნალისტები საქმეს უფრო „ბეჯითად“ უდგებიან და ყველა გუნდს ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგების მიხედვით თავის ადგილს მიუჩენენ.

აი, ლონდონის ტურნირის საბოლოო ცხრილი, რომელიც, როგორც ხედავთ, მთლად უცოდველი როდია.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 6 | 5 | 1 | 0 | 11—3 | 11 |
| პორტუგალია | 6 | 5 | 0 | 1 | 17—8 | 10 |
| გფრ | 6 | 4 | 1 | 1 | 15—6 | 9 |
| სსრ კავშირი | 6 | 4 | 0 | 2 | 10—7 | 8 |
| არგენტინა | 4 | 2 | 1 | 1 | 4—2 | 5 |
| უნგრეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 8—7 | 4 |
| ურუგვაი | 4 | 1 | 2 | 1 | 2—5 | 4 |
| კსდრ | 4 | 1 | 1 | 2 | 5—9 | 3 |
| იტალია | 3 | 1 | 0 | 2 | 2—2 | 2 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4—5 | 2 |
| ბრაზილია | 3 | 1 | 0 | 2 | 4—6 | 2 |
| მექსიკა | 3 | 0 | 1 | 2 | 1—3 | 2 |
| ჩილი | 3 | 0 | 1 | 2 | 2—5 | 1 |
| საფრანგეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 2—5 | 1 |
| ბულგარეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1—8 | 0 |
| შვეიცარია | 3 | 0 | 0 | 3 | 1—9 | 0 |

## საფუძველი ჩაეყარა 1958 წელს

ბრიტანული პრესა ანალიზს უკეთებს ინგლისის გამარჯვებას მსოფლიო ჩემპიონატში და აღნიშნავს, რომ ინგლისელ ფეხბურთელთა დიდმა საერთაშორისო გამოცდილებამ ნაკრების წარმატებაში პირველხარისხოვანი როლი ითამაშა.

ჯ. გრინს („ტაიმსი“) მიაჩნია, რომ ევროპის თასების გათამაშებებში მოწინავე ინგლისური კლუბების მონაწილეობამ შესძინა მოთამაშეებს გამოცდილება. „ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ მ. ბასბის „მანჩესტერ იუნაიტედს“, რომელმაც 1958 წელს კატეგორიულად მოითხოვა ფეხბურთის ასოციაციისაგან ევროპულ ტურნირებში, ამ მძიმე შეჯიბრებებში მონაწილეობა. მსოფლიო ჩემპიონთა შორის 9 ფეხბურთელი სწორედ ზემოხსენებულ ტურნირებშია გამოწრთობილი“.

სხვა კომენტატორები აღნიშნავენ, რომ ინგლისელ ფეხბურთელებს მოუხდებათ ყურადღების გამახვილება ტექნიკაზე, განსაკუთრებით კი ტექნიკური ილეთების სწრაფად შესრულებაზე და გადაცემათა სიზუსტეზე. „მექსიკაში ჩვენი პრესტიჟის დაცვა ძალიან ძნელი იქნება და უახლოესი 4 წელიწადი ჩვენი ფეხბურთელებისთვის სწავლისა და გამოცდილების გაღრმავების წლები იქნება“, — ასეთია ინგლისის სპორტული პრესის აზრი.

(საქ. ინფ.).



# ჩემპიონატის ექო

## პრემიები...

ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ უხვად დაასაჩუქრა თავისი გუნდი ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებისთვის. ადრე ცნობილი იყო, რომ გუნდის ყოველ წევრს ფედერაცია 1.000 გირვანქა სტერლინგით ასაჩუქრებდა. მოგვიანებით ფედერაციის ხელმძღვანელებმა პრემიის თანხას კიდევ 500-500 გირვანქა დაუმატეს.

უყურადღებოდ, ცხადია, არც ნაკრების უფროსი მწვრთნელი ა. რამსეი დატოვეს. ჯილდოს სახით მას ერთდროულად 5.000 გირვანქა სტერლინგი მიართვეს, ხოლო წლიური ხელფასი 4.500 გირვანქამდე გაუზარდეს.



ს უ რ ა თ ზ ე: ლისაბონის „ბენფიკისა“ და პორტუგალიის ნაკრების ყველაზე მაღალი (192 სმ) ფეხბურთელი, ცენტრალური თავდამსხმელი ჟოზე ტორესი წვრთნის დროს ლისაბონის სტადიონის „ლა ლუსის“ მინდორზე.

ეს სურათი ფოტორეპორტიორებმა ოდნავ „გაშარჟებულად“ გადაიღეს: ტორესი ისეთნაირად წარმოგვიდგინეს, რომ სიმაღლე მომატებოდა.

ფოტო ასოშიეიტედ პრესის სააგენტოსი.



△ ბუქარესტი. გაიმართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და რუმინეთის მოკრივეთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 9:1.

△ პ ა რ ი ზ ი. თანამედროვე ხუთჭიდელთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც 6 ქვეყნის გუნდები მონაწილეობდნენ, მოიგო უნგრეთის ნაკრებმა. მომდევნო ადგილები დაიკავეს: იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის, გფრ-ისა და ბელგიის სპორტსმენებმა. პირად ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა. 1. მონა — 5195 ქულა, 2. ტიორიოკი (ორივენი—უნგრეთი)—5025, 3. ოტავიანი (იტალია) — 4746.

△ მაინის ფრანკფურტი. საინტერესო ბრძოლით აღინიშნა გფრ-ისა და დანიის ველოსიპედისტთა ამხანაგური შეჯიბრება ტრეკზე. ორდღიანმა ბრძოლამ უძლიერესი ვერ გამოავლინა. შეხვედრის შედეგია 9:9.

△ ლონდონი. მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი ჩატარდება სტოკჰოლმში 1967 წლის 11-21 აპრილს.

△ კლუჟი. აქ გაიმართა ფრენბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. მოგვყავს ტექნიკური შედეგები: ჩინეთი — უნგრეთი 3:1, რუმინეთი — ჩინეთი 3:2, რუმინეთი — უნგრეთი 3:1.

△ ნ ი უ - ი ო რ კ ი. დამთავრდა დევისის თასის გათამაშება ამერიკის შეერთებული შტატების ზონაში. I ადგილი და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ამერიკელმა ჩოგბურთელებმა, რომლებმაც გადამწყვეტ მატჩში დაამარცხეს მექსიკის ნაკრები.

△ ლოს-ანჯელოსი. მსოფლიო ჩემპიონის წოდება ქვემძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მოიპოვა ჟ. ტორესმა, რომელმაც 15-რაუნდიან ბრძოლაში სძლია ე. კოტონს.



ნაირობის (კენია) სტადიონზე ჩატარდა მატჩი რეგბიში ვაჟთა ერთ-ერთ გუნდსა და ქალთა ნაკრებს შორის. შეხვედრის დროს საინტერესო ეპიზოდი მოხდა: ერთ-ერთი მოთამაშის ძაღლი ტრიბუნიდან გადმოხტა და სანამ მისი პატრონი მეტოქეს ეჭიდებოდა, ბურთს დაეუფლა....

ფოტო ასოშიეიტედ პრესის სააგენტოსი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საწყალოსნო - სამოტორო სპორტი. თბილისის ზღვის წყალჯომარდობის სადგური. 26-31 აგვისტო. დოსააფის საკავშირო პირად-გუნდური პირველობა. მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. შეჯიბრების დახურვის დღეს შედგება შეძენილი ფასიანი ბილეთების მომგებიანი ტირაჟი. ბილეთის ფასია 30 კაპ. დასაწყისი 10 ს. საზეიმო გახსნა — 28-ში, 12 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 8 უე 12039